შპს „ოპტიმუსი“

ქ.თბილისი, სოფ. დიდი ლილო მიწის ნაკვეთზე (ს/კ 81.08.16.848) საპროექტო საწყობის სამონტაჟო სამუშაოების 10,00 მეტრის რადიუსში მდებარე შენობა-ნაგებობებზე ზეგავლენის კვლევის ანგარიში



თბილისი

2024 წ.

შ.პ.ს. ოპტიმუსი OPTIMUS LTD.
"ხელსაყრელი პირობების ერთობლიობა"
სამშენებლო ექსპარტიზა, პროექტირება მშენებლობა

ქ.თბილისი 26 სექტემბერი 2024 წ.

ქ.თბილისი, სოფ. დიდი ლილო მიწის ნაკვეთზე (ს/კ 81.08.16.848) საპროექტო საწყობის სამონტაჟო სამუშაოების 10,00 საპროექტო საწყობის სამონტაჟო სამუშაოების 10,00 რადიუსში მდებარე შენობა-ნაგებობებზე ზეგავლენის კვლევის ანგარიში

ობიექტის მისამართი - ქ.თბილისი, სოფ. დიდი ლილო მიწის ნაკვეთზე (ს/კ 81.08.16.848);

ობიექტის სტატუსი/ფუნქციური დანიშნულება - საპროექტო/;

ობიექტის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით - II კლასი;

ექსპერტიზის სახე - საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა;

ექსპერტიზის დამნიშნავი - ფიზიკური/<u>იურიდიული</u> პირი – შპს „ილიტეკი" (ს/კ 404851807);

შემსრულებელი ექსპერტი – გაიოზ ჭანკვეტაძე (პ/ნ 01017024251) შპს „ოპტიმუსი"-ს (ს/კ 404420998) დირექტორი, ინჟინერ-მშენებელი, კონსტრუქტორი. საინჟინრო ექსპერტიზის სფეროში მუშაობის გამოცდილება 14 წელი (2010 წლიდან), სამშენებლო სფეროში მუშაობის გამოცდილება - 39 წელი (1985 წლიდან).

ექსპერტის წინაშე დასმული კითხვები – ქ.თბილისი, სოფ. დიდი ლილო მიწის ნაკვეთზე (ს/კ 81.08.16.848) საპროექტო საწყობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების პერიოდში, შესაძლო ზეგავლენის ხარისხის შესწავლა მომიჯნავედ 10,00 მეტრის რადიუსში მდებარე შენობა-ნაგებობებზე და შესაბამისი დასკვნის მომზადება;

ექპერტიზაზე წარმოდგენილი ან/და ექსპერტის მიერ მოძიებული დოკუმენტაცია -
1) პროექტის არქიტექტურული ნაწილი, შენობის კონსტრუქციული ნაწილი, 2) მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; 3) მიწის ნაკვეთის ტოპო გეგმა; 4) მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა; 5) პროექტის შენადგენელი ნაწილების საექსპერტო შეფასებები;

საქართველო, ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ.№1 ტელ : +995 595 902225;
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 595 902225; email: g.chankvetadze@optimusi.ge

გამოყენებული ნორმატიული აქტები და სხვა სახელმძღვანელო ლიტერატურა:

1) სნ და წ. პნ 01.01-09 "სეისმომედეგი მშენებლობა"
2) სნ და წ. პნ 02.01.-08 "შენობებისა და ნაგებობების ფუძე-საძირკვლები"
3) СНиП 2.02.01-83 Основания зданий и сооружений;

კვლევა – ჩემს მიერ ვიზუალური შემოწმება ჩაუტარდა აღნიშნულ მისამართზე საპროექტო საწყობის შენობის სამშენებლო სამუშოების ჩატარების მიზანშეწონილობას, გადამოწმდა მომიჯნავე ნაკვეთებზე მდებარე შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობა სამშენებლო სამუშაოების პერიოდში, მათზე რაიმე სახის უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებით.

საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს მცირედქანობიანი რელიეფის მქონე ზედაპირს, მიწის ნაკვეთს უშუალო მომიჯნავე მიწის ნაკვეთები ერთი - დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება. ხოლო სამი დარჩენილი მხარეს მისი მოსაზღვრეა გაუნაშენიანებელი მიწის ნაკვეთები

მიწის ნაკვეთებზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების მონაცემების თანახმად ტერიტორიაზე საშიში გეოდინამიური პროცესები არ მიმდინარეობს და მიწის გრუნტი გეომორფოლოგიურად მდგრადია. კვლევის შედეგად სამშენებლო მოედანზე გამოყოფილია შემდეგი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი:

1. სგე 1 - თიხნარი ნახევრადმყარი კენჭნარის ჩანართებით (ფენა 2);

რომელიც მიღებულია ფუძეებად შემდეგი ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლებით - საანგარიშო წინაღობვა R_0=3,52კგ.ძ/სმ^2, სიმკვრივე ρ=1.94გ/სმ3, ხვედრითი შეჭიდულობა C=0,568 კგ.ძ/სმ2; დეფორმაციის მოდული E=210 კგ.ძ/სმ2.

შენობა ფუძნდება სგე-2 -ზე;

საპროექტო მიწის ნაკვეთზე, იგეგმება სასაწყობე დანიშნულების ობიექტის მშენებლობა, რომელიც თვისობრივი კონსტრუქციული წყობით მიეკუთვნება რკ/ბეტონის და ლითონკოსტრუქციებით შდგენილ შენობას. ანგარიშის მიხედვით, შენობის საძირკვლებიდან გადაცემული მაქსიმალური ძაბვა ფუძეში - R_0=0,1კგ.ძ/სმ^2-ია, რაც მცირეა გრუნტების არსებულ წინაღობვაზე - R_0=3,52კგ.ძ/სმ^2, ეს ფაქტორი კი, იმთავითვე გამორიცხავს ფუძის დეფორმაციულ მოვლენებს და მიმდებარე/მომიჯნავე ტერიტორიებზე რაიმე სახის ზეგავლენის მოხდენას.

ჩემს მიერ, საპროექტო ნაკვეთის მომიჯნავედ არსებული 10,00 მეტრის რადიუსში მდებარე მიწის ნაკვეთებისა და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობების განხილვა მოხდა განცალკევებით. კერძოდ:

მიწის ნაკვეთი ს/კ 81.08.16.900 - მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობა არ ფიქსირდება.

საქართველო, ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ.№1 ტელ : +995 595 902225;
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: **+995 595 902225; email: g.chankvetadze@optimusi.ge**

მიწის ნაკვეთი ს/კ 01.19.21.002.368 - მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობა არ ფიქსირდება.

მიწის ნაკვეთი ს/კ 01.19.21.002.900 - მიწის ნაკვეთზე იგეგმება საპროექტო საწყობის იდენტური კონსტრუქციული ტიპისა და დანიშნულების შენობა, რომელიც განთავსდება იდენტურ საინჟინრო გეოლოგიურ შრეზე, გამომდინარე აქედან შენობებს შორის ურთიერთზემოქმედება გამორიცხულია.

სხვა შენობა-ნაგებობები საპროექტო მიწის ნაკვეთიდან დაშორებულები არიან 10,00 მეტრზე მეტი მანძილით, რაც გამორიცხავს მათზე რაიმე სახის ზემოქმედებას.

დასკვნა - ქ.თბილისი, სოფ. დიდი ლილო მიწის ნაკვეთზე (ს/კ 81.08.16.848) საპროექტო საწყობის სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოების მიმდინარეობა მისი ლოკაციის მომიჯნავედ

დასკვნა - ქ.თბილისი, სოფ. დიდი ლილო მიწის ნაკვეთზე (ს/კ 81.08.16.848) საპროექტო საწყობის სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოების მიმდინარეობა მისი ლოკაციის მომიჯნავედ10,00 მეტრის რადიუსში მდებარე მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობა-ნაგებობებზე, უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენს. მიწის ნაკვეთი მდგრადი გეომორფოლოგიური შემადგენლობისაა და რაიმე სახის სხვა სპეციალური ღონისძიებების გატარებას მშენებლობის პერიოდში არ საჭიროებს.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, მშენებარე საწყობის შენობის სამონტაჟო სამუშაოების მიმდინარეობას ცალსახად დადებით რეკომენდაციას ვაძლევ.

შპს „ოპტიმუსი“-ს

დირექტორი,

ინჟინერ-კონსტრუქტორი

გ.ჭანკვეტაძე





საქართველო, ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ..№1 ტელ : +995 595 902225;
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 595 902225; email: g.chankvetadze@optimusi.ge